

BAG

ინდუსტრი

ბიზნეს
კლიმატი



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA



Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich



Research

სარჩევი

BAG ინდექსი	1
BAG ბიზნეს კლიმატი	1
BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით	3
დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით	5
ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები	9
დაფინანსება	15
მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ	16

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, პიემსი კვლევითი ცენტრისა და ifo ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი პროდუქტია. BAG ინდექსი მოიცავს BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების¹ მმართველი მენეჯერების შეფასებას BAG ბიზნეს კლიმატის, BAG დასაქმების ბარომეტრის და BAG საინვესტიციო გარემოს შესახებ. პიემსი კვლევითი ცენტრი BAG ინდექსს აქვეყნებს ყოველკვარტალურად.

BAG ბიზნეს კლიმატი

BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გამოითვლება BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. კითხვარის მეშვეობით კომპანიები აფასებენ თავიანთ მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს.² კომპანიები, ასევე, აფასებენ გაყიდვების, გაყიდვების ფასების და დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას გასულ და მიმდინარე კვარტლებში და აფიქსირებენ მოლოდინს მომდევნო კვარტლისთვის. დამატებით, კომპანიები ასახელებენ თავიანთი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შეშლელ ფაქტორებს, აფიქსირებენ გაცვლითი კურსის შესახებ არსებულ მოლოდინს, აფასებენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და საინვესტიციო გარემოს. აღნიშნული ინდექსის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები გადანაწილდა ოთხ სექტორში: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2022 წლის პირველი კვარტლის გამოკითხვა ჩატარდა 2022 წლის 14 - 28 თებერვლის პერიოდში.

2022 წლის I კვარტალში, გამოკითხულმა კომპანიებმა თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი დადებითად შეაფასეს. 2022 წლის I კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელმა 34.6 ქულა შეადგინა, მათ შორის, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელი 18.1, ხოლო ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელი 52.3 ქულაა.


2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, BAG ბიზნეს კლიმატი 0.8 ქულით გაუმჯობესდა. აღნიშნულ პერიოდში, გაუარესდა გამოკითხული კომპანიების მიერ მიმდინარე მდგომარეობის შეფასება (შემცირდა 0.7 ქულით), რაც შეეხება მომდევნო 6 თვის მოლოდინს, მაჩვენებელი გაუმჯობესდა (გაიზარდა 2.5 ქულით).

2022 წლის I კვარტლის შედეგები გაუმჯობესებულია, 2021 წლის I კვარტალთან შედარებით, როდესაც BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 14.6-ს, მიმდინარე მდგომარეობის შეფასება -11.8-ს, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის ქულა 44.9-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის I კვარტლიდან BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი დადებითია და უმჯობესდება. 2021 წლის I და II კვარტლებში აღნიშნულს ძირითადად განაპირობებდა მომდევნო 6 თვის ოპტიმისტური მოლოდინი. თუმცა 2021 წლის III კვარტლიდან BAG ბიზნეს კლიმატის დადებით მაჩვენებელს ოპტიმისტურ მოლოდინთან ერთად, ასევე, განაპირობებს გამოკითხული კომპანიების უმრავლესობის მიერ მიმდინარე მდგომარეობის დადებითი შეფასება (იხილეთ გრაფიკი 1).


¹ 2021 წლის I კვარტალში BAG ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ გაიზარდა გამოსაკითხი კომპანიების რაოდენობა: გამოსაკითხ კომპანიათა ბაზას დაემატა BAG-ის წევრების ჯგუფში შემავალი კომპანიები.

² საბალანსო მნიშვნელობა მიმდინარე მდგომარეობისთვის არის სხვაობა „კარგი“ და „ცუდი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის, ხოლო საბალანსო მნიშვნელობა მომდევნო ექვსი თვის მოლოდინისთვის არის სხვაობა „უფრო ხელსაყრელი“ და „ნაკლებად ხელსაყრელი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი წარმოადგენს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის საბალანსო მნიშვნელობების ტრანსფორმირებულ საშუალოს. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი შესაძლოა იყოს -100-სა და +100-ს შორის. +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს დადებითად, ხოლო -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს უარყოფითად.



გრაფიკი 1: BAG ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა

2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტლის მსგავსად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი ბუმის ფაზაში იმყოფება.



გრაფიკი 2: BAG ბიზნეს კლიმატი

გრაფიკი 2 საკოორდინატო სიბრტყეზე ასახავს დამოკიდებულებას ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობასა და ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს შორის. თავის მხრივ, საკოორდინატო სიბრტყის მეოთხედები შესაბამისი სახელებით აღინიშნება, კერძოდ, აღმასვლა, ბუმი, დაღმასვლა და რეცესია:

- * თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ უარყოფითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „აღმასვლის“ მეოთხედში.
- * თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „ბუმის“ მეოთხედში.
- * თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ დადებითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „დაღმასვლის“ მეოთხედში.
- * თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „რეცესიის“ მეოთხედში.

BAG ბიზნეს კლიმატი საქართვების მიხედვით


2022 წლის I კვარტალში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი ყველა სექტორში დადებითია. 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესდა მშენებლობის და მომსახურების სექტორებში, ხოლო ვაჭრობის და მრეწველობის სექტორებში გაუარესდა (იხილეთ გრაფიკი 3).

2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის შეფასება გაუმჯობესდა ვაჭრობის და მომსახურების სექტორებში და გაუარესდა მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში. თუმცა გაუარესების მიუხედავად, მრეწველობის სექტორში გამოკითხული კომპანიები მიმდინარე მდგომარეობას დადებითად აფასებენ. რაც შეეხება მშენებლობის სექტორს, აღსანიშნავია, რომ გამოკითხული კომპანიები მიმდინარე მდგომარეობას უარყოფითად აფასებენ. მშენებლობის სექტორში მიმდინარე მდგომარეობის უარყოფით შეფასებას შესაძლოა, განაპირობებდეს სექტორში შემცირებული გაყიდვები (გამოკითხულთა 37.5%-მა დააფიქსირა რომ მათი გაყიდვები 2022 წლის I კვარტალში შემცირდა და მხოლოდ 13%-მა დააფიქსირა გაყიდვების ზრდა). სექტორებს შორის, მიმდინარე მდგომარეობა ყველაზე დადებითად შეფასდა ვაჭრობის სექტორის მიერ.

რაც შეეხება ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს, 2022 წლის I კვარტალში, ყველა სექტორისთვის მაჩვენებელი დადებითია. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის გაუარესებული ვაჭრობის სექტორში. რაც შეეხება მომსახურების, მშენებლობის და მრეწველობის სექტორებს, მაჩვენებელი გაუმჯობესებულია.

ცხრილი 1: საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით 2022 წლის I კვარტალში

	ბიზნეს კლიმატი	ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა	ბიზნესის მოლოდინი
ვაჭრობის სექტორი	38.7	24.3	54.1
მომსახურების სექტორი	37.1	20	55.6
მრეწველობის სექტორი	36.4	23.5	50
მშენებლობის სექტორი	11.0	-12.5	37.5
ყველა სექტორი	34.6	18.1	52.3



გრაფიკი 3: ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 2021 წლის IV და 2022 წლის I კვარტლებში


2021 წლის I კვარტლიდან ვაჭრობის, მრეწველობის და მომსახურების სექტორებში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი ოთხივე კვარტალში დადებითია. მშენებლობის სექტორში 2021 წლის I და II კვარტალში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი უარყოფითი იყო, თუმცა 2021 წლის III და IV კვარტალში, ისევე როგორც 2022 წლის I კვარტალში, მაჩვენებელი დადებითია და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უმჯობესდება.

ვაჭრობის სექტორში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 2021 წლის I კვარტლიდან, წინა წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით უმჯობესდება. ბიზნეს კლიმატის დადებით მაჩვენებელს განაპირობებს სექტორში არსებული პოზიტიური მოლოდინი და 2021 წლის მეორე კვარტლიდან მიმდინარე მდგომარეობის დადებითი შეფასება.

მომსახურების სექტორში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 2021 წლის I კვარტლიდან უმჯობესდება როგორც ყოველკვარტალურად (გარდა 2021 წლის III კვარტალში უმნიშვნელოდ გაუარესებისა), ასევე, წინა წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით. ბიზნეს კლიმატის დადებით მაჩვენებელს განაპირობებს სექტორში არსებული პოზიტიური მოლოდინი და 2021 წლის მესამე კვარტლიდან მიმდინარე მდგომარეობის დადებითი შეფასება.

მსგავსად ვაჭრობის და მომსახურების სექტორებისა, 2021 წლის I კვარტლიდან, მრეწველობის სექტორში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით, უმჯობესდება. დადებით შეფასებას ძირითადად განაპირობებს როგორც სექტორში ოპტიმისტური მოლოდინის არსებობა, ასევე, მიმდინარე მდგომარეობის პოზიტიური შეფასება.

რაც შეეხება მშენებლობის სექტორს, 2021 წლის III კვარტლიდან ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი ყოველკვარტალურად უმჯობესდება. ბიზნეს კლიმატის მაჩვენებლის გაუმჯობესებას ძირითადად განაპირობებს ბიზნესის პოზიტიური მოლოდინი (იხილეთ გრაფიკი 4).



გრაფიკი 4: ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით დასაქმება

2021 წლის IV კვარტლის შეფასება


- ✘ 2021 წლის IV კვარტალში, 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, გამოკითხული კომპანიების 32.7%-მა გაზარდა დასაქმებულთა რაოდენობა. გამოკითხულ კომპანიათა უმეტესობაში (60.7%) დასაქმებულთა რაოდენობა არ შეცვლილა, ხოლო 6.6%-ისთვის შემცირდა.
- ✘ სექტორებს შორის, გამოკითხული კომპანიების ყველაზე დიდი ნაწილი (35.6%) მომსახურების სექტორში ამბობს, რომ დასაქმებულთა რაოდენობა გაზარდა 2021 წლის IV კვარტალში (იხილეთ გრაფიკი 5). აღნიშნული შესაძლოა, უკავშირდებოდეს გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობაში მოთხოვნის ზრდას (კომპანიათა 57.8%-მა დააფიქსირა 2021 წლის IV კვარტალში მათ პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა).

2022 წლის I კვარტლის შეფასება

- ✘ გამოკითხულ კომპანიათა 18.7% აცხადებს, რომ 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, მათთან დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება, ხოლო კომპანიათა 9.3%-ში მცირდება. კომპანიათა უმეტესობის (72%) განცხადებით, დასაქმებულთა რაოდენობა არ იცვლება.
- ✘ მრეწველობისა და მშენებლობის სექტორებში გამოკითხულ კომპანიათა მნიშვნელოვანი წილი ამბობს, რომ 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება.

2022 წლის II კვარტლის მოლოდინი

- * გამოკითხული კომპანიების 29% თვლის, რომ 2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, დაქირავებულთა რაოდენობას გაზრდის, მხოლოდ 3.7% ვარაუდობს კლებას. კომპანიათა უმეტესობა (67.3%) არ აპირებს დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას.
- * დასაქმების მიმართულებით ყველაზე პოზიტიური მოლოდინი, მშენებლობის სექტორში ფიქსირდება, სადაც 2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას კომპანიათა 37.5% ვარაუდობს, ხოლო შემცირებას - არც ერთი. აღნიშნულს, სავარაუდოდ, განაპირობებს სექტორში არსებული პოზიტიური მოლოდინი გაყიდვების ზრდასთან დაკავშირებით.
- * ვაჭრობის, მრეწველობის და მომსახურების სექტორებში გამოკითხული კომპანიების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ 2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა არ შეიცვლება (62.2%, 58.8%, 75.6%, შესაბამისად).



გრაფიკი 5: დასაქმებულთა რაოდენობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში³

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ მრეწველობისა და მშენებლობის სექტორებში 2021 წლის I კვარტლიდან იზრდებოდა იმ კომპანიათა წილი, რომლებიც აფიქსირებდნენ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, თუმცა 2021 წლის IV კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ეს მაჩვენებელი აღნიშნული სექტორებისთვის 11 და 13 პროცენტული პუნქტით შემცირდა. მაგრამ, მოსალოდნელია, რომ 2022 წლის II კვარტალში ორივე სექტორში მნიშვნელოვნად გაიზრდება კომპანიათა წილი, რომლებიც გაზრდიან დასაქმებულთა რაოდენობას.

2021 წლის I კვარტლიდან, დასაქმებასთან მიმართებით პოზიტიური დინამიკა შეინიშნებოდა მომსახურების სექტორშიც. თუმცა, 2022 წლის I კვარტალში მნიშვნელოვნად (20 პროცენტული პუნქტით) შემცირდა კომპანიათა წილი, რომლებიც აფიქსირებენ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას. რაც შეეხება 2022 წლის II კვარტლის მოლოდინს, მომსახურების სექტორში გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 20% გეგმავს დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

2021 წლის განმავლობაში, სხვა სექტორებისგან განსხვავებით, არასტაბილურობით გამოირჩეოდა ვაჭრობის სექტორში იმ კომპანიების წილი, რომლებიც დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას

³ დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.
* წინასწარი შეფასება.

აფიქსირებდნენ. აღნიშნული მაჩვენებელი 12%-32%-ს შორის მერყეობდა. რაც შეეხება 2022 წლის II კვარტალს, მოსალოდნელია, რომ 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, ვაჭრობის სექტორში უფრო მეტი კომპანია გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას.

გაყიდვები/მოთხოვნა/ადგილობრივი წარმოება

2021 წლის IV კვარტლის შეფასება


- ✗ მომსახურების, ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებში გამოკითხულ კომპანიათა ნახევარზე მეტი ამბობს, რომ მათი გაყიდვები 2021 წლის IV კვარტალში, 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, გაიზარდა.
- ✗ 2021 წლის IV კვარტალში, გაყიდვების მხრივ არსებული მდგომარეობა ყველაზე ნეგატიურად მშენებლობის სექტორში შეფასდა, რადგან გამოკითხული კომპანიების 25%-ისთვის, 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, სამშენებლო კონტრაქტები/წინასწარი გაყიდვები შემცირდა (იხილეთ გრაფიკი 6).

2022 წლის I კვარტლის შეფასება

- ✗ 2022 წლის I კვარტალში, გაყიდვების მიმართულებით არსებული მდგომარეობა ყველაზე კარგად მრეწველობის სექტორში შეფასდა, სადაც გამოკითხულ კომპანიათა 35.3% ამბობს, რომ მათი გაყიდვები, წინა კვარტალთან შედარებით, გაიზარდა.
- ✗ 2022 წლის I კვარტალში, გაყიდვების მხრივ ყველაზე ნეგატიური მდგომარეობა ვაჭრობისა და მშენებლობის სექტორებში დაფიქსირდა, სადაც გამოკითხულთა 37.8% და 37.5% აცხადებს, რომ მათი გაყიდვები წინა კვარტალთან შედარებით, შემცირდა.

2022 წლის II კვარტლის მოლოდინი

- ✗ 2022 წლის II კვარტალში ყველაზე პოზიტიური მოლოდინი გაყიდვებთან დაკავშირებით, ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება, სადაც გამოკითხულ კომპანიათა 75.7% აცხადებს, რომ გაყიდვების ზრდას მოელოს.
- ✗ სექტორებს შორის, ყველაზე დიდი წილი იმ კომპანიებისა, რომლებიც 2022 წლის II კვარტალში გაყიდვების კლებას პროგნოზირებს მშენებლობის (12.5%) და მრეწველობის (11.8%) სექტორებშია.



გრაფიკი 6: გაყიდვები, ადგილობრივი წარმოება და მოთხოვნა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ 2021 წლის განმავლობაში, სექტორებს შორის დადებითი ტენდენცია შეინიშნებოდა ვაჭრობის, მრეწველობისა და მომსახურების სექტორებში, სადაც კომპანიათა უმრავლესობაში ფიქსირდებოდა გაყიდვების რაოდენობის ზრდა. თუმცა, ამ სამივე სექტორში კომპანიათა წილი, რომელიც გაყიდვების ზრდას აფიქსირებდა 2022 წლის I კვარტალში შემცირდა. 2022 წლის II კვარტალში კი ვაჭრობის, მომსახურების და მშენებლობის სექტორებში კომპანიათა დიდი ნაწილი გაყიდვების ზრდას ელის.

2021 წლის განმავლობაში და 2022 წლის I კვარტალში, კომპანიების ყველაზე ნაკლები წილი მშენებლობის სექტორში აფიქსირებდა გაყიდვების რაოდენობის ზრდას. თუმცა, 2022 წლის II კვარტალში, ამ სექტორში გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობა (50%) გაყიდვების ზრდას ელის.

გაყიდვების ფასები

2021 წლის IV კვარტლის შეფასება


- ✖ გამოკითხული კომპანიების დიდმა ნაწილმა (58.5%) განაცხადა, რომ 2021 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, ფასები არ შეცვლილა, ხოლო 34%-მა ფასები გაზარდა. კომპანიების 7.5% კი აცხადებს, რომ აღნიშნულ პერიოდში ფასები შემცირდა.
- ✖ სექტორალურ ჯრილში, ოთხივე სექტორში გამოკითხულ კომპანიათა ძირითადი ნაწილის განცხადებით, 2021 წლის IV კვარტალში, 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, ფასები არ შეცვლილა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებში გამოკითხულ კომპანიათა 43.2% და 41.2% აცხადებს, რომ 2021 წლის IV კვარტალში გაყიდვების ფასები გაიზარდა.

2022 წლის I კვარტლის შეფასება

- ✖ გამოკითხული კომპანიების 26.4% აცხადებს, რომ 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, გაყიდვების ფასები იზრდება. 71.7%-ის განცხადებით, გაყიდვების ფასები არ იცვლება და მხოლოდ გამოკითხულ კომპანიათა 1.9%-ისთვის მცირდება.
- ✖ ფასების ზრდა დააფიქსირა მრეწველობის სექტორში გამოკითხულთა ყველაზე დიდმა ნაწილმა. ამ სექტორში, კომპანიების 47.1%-მა განაცხადა, რომ გაყიდვების ფასები, 2022 წლის I კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, გაიზარდა.

2022 წლის II კვარტლის მოლოდინი

- ✖ გამოკითხულ კომპანიათა 32.1% ვარაუდობს გაყიდვების ფასების ზრდას, 2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით. მაშინ როცა 66% არ ელოდება ამ მაჩვენებლის ცვლილებას. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ კომპანიათა მხოლოდ 1.9% ვარაუდობს, რომ ფასები დაიკლებს.
- ✖ სექტორებს შორის, მშენებლობის სექტორში პროცენტულად ყველაზე მეტი კომპანია (57.1%) მოელის ფასების ზრდას, 2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით.




გრაფიკი 7: გაყიდვების ფასები ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

საერთო ჯამში, 2021 წლის II კვარტლიდან მოყოლებული, ოთხივე სექტორში, კომპანიათა უმრავლესობისთვის გაყიდვების ფასები არ იცვლებოდა. თუმცა, 2021 წელს, ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებში კომპანიათა არც თუ ისე მცირე ნაწილი, ზოგჯერ 40%-ზე მეტს კი, აფიქსირებდა ფასების ზრდას. რაც შეეხება 2022 წლის I კვარტალს, ოთხივე სექტორში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კომპანიათა წილი, რომელთა განცხადებით, გაყიდვების ფასები არ იცვლება.

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შეშლელი ფაქტორები

2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, გაიზარდა იმ კომპანიების წილი (6 პროცენტული პუნქტით), რომლებიც თვლიან, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისათვის არსებობს ხელის შეშლელი ფაქტორები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის I კვარტალთან შედარებით, ასეთი კომპანიების წილი მნიშვნელოვნად, 12 პროცენტული პუნქტით, არის შემცირებული.



გრაფიკი 8: ბიზნესისთვის ხელის შეშლელი ფაქტორების არსებობა

2022 წლის I კვარტალში, ბიზნესსაქმიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ხუთი ფაქტორია: ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა⁴, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები, სპეციალისტების ნაკლებობა, სამუშაო ძალის ნაკლებობა და პროდუქციასა თუ მომსახურებაზე მოთხოვნის სიმცირე (იხილეთ გრაფიკი 9).

მოცემულ კვარტალში, მსგავსად წინა სამი კვარტლისა, პრობლემათა შორის პირველი ადგილი ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობამ დაიკავა (აღნიშნულ პრობლემას კომპანიათა 62% ასახელებს ხელის შემშლელად). სექტორებს შორის, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორის კომპანიებისთვის (71%) წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს. ამავდროულად, აღნიშნული ფაქტორი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელად დაასახელა ვაჭრობის სექტორის 68%-მა, მომსახურების სექტორის 58%-მა და მრეწველობის სექტორის 55%-მა.

საწარმოს ზომის მიხედვით⁵, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა ყველაზე მეტად მცირე ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (73%-მა დაასახელა ხელის შემშლელად). აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად დაასახელა საშუალო ზომის საწარმოთა 63%-მა და მსხვილი ზომის საწარმოთა მხოლოდ 56%-მა.

2022 წლის I კვარტალში, პრობლემათა შორის მეორე ადგილი სამართლებრივმა და ადმინისტრაციულმა ბარიერებმა დაიკავა (აღნიშნულ პრობლემას კომპანიათა 44% ასახელებს ხელის შემშლელად). სექტორების მიხედვით, აღნიშნული ფაქტორი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელად ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა (71%), ხოლო ყველაზე ნაკლებად მრეწველობის სექტორში (კომპანიათა 9%-მა დაასახელა ხელის შემშლელად). რაც შეეხება მომსახურების და ვაჭრობის სექტორებს, აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად გამოკითხულ კომპანიათა 54%-მა და 41%-მა დაასახელა.

სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები ყველაზე მეტად მსხვილი ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (59%-მა დაასახელა ხელის შემშლელად). ხოლო, იგივე ფაქტორი ხელის შემშლელად საშუალო ზომის და მცირე ზომის საწარმოთა 33%-მა დააფიქსირა.

2022 წლის I კვარტალში, სპეციალისტების ნაკლებობა ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 38%-მა დაასახელა. სექტორებს შორის, სპეციალისტების ნაკლებობის პრობლემა ყველაზე მწვავე ვაჭრობის (41%) და მრეწველობის (36%) სექტორებისთვისაა, ხოლო ყველაზე ნაკლებად - მომსახურების (35%) და მშენებლობის (29%) სექტორებისთვის.

სპეციალისტების ნაკლებობა ყველაზე მეტად მცირე ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (40%-მა დაასახელა ხელის შემშლელად). ხოლო საშუალო ზომის საწარმოთა 38%-მა და მსხვილი ზომის საწარმოთა 37%-მა დაასახელა აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად.

2022 წლის I კვარტალში, სამუშაო ძალის ნაკლებობა ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 29%-მა დაასახელა. სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემა ყველაზე მწვავე ვაჭრობის სექტორისთვისაა (41%). ხოლო მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში აღნიშნული ფაქტორი კომპანიათა მხოლოდ მცირე ნაწილმა დაასახელა ხელის შემშლელად (შესაბამისად 14%-მა და 19%-მა). ხოლო მრეწველობის სექტორში აღნიშნული მაჩვენებელი (27%) ახლოს არის საშუალო მაჩვენებელთან.

2022 წლის I კვარტალში, სამუშაო ძალის ნაკლებობა ყველაზე მეტად მსხვილი ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (37%-მა დაასახელა ხელის შემშლელად). აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად დაასახელა მცირე ზომის საწარმოთა მხოლოდ 13%-მა, ხოლო საშუალო ზომის საწარმოთა - 29%-მა.


⁴ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების შესახებ არსებულ კითხვარს 2021 წლის II კვარტალში დაემატა.

⁵ საწარმოს ზომა განისაზღვრა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის მიხედვით: მცირე, საშუალო და მსხვილი.

რაც შეეხება მოთხოვნის სიმცირეს, 2022 წლის I კვარტალში, აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად გამოკითხულ კომპანიათა 24%-მა დაასახელა. მოთხოვნის სიმცირე, როგორც ხელის შემშლელი ფაქტორი, ყველაზე მეტად მრეწველობის სექტორის (45%) მიერ ფიქსირდება, ხოლო ყველაზე ნაკლებად ვაჭრობის სექტორის მიერ (14%). მომსახურების (23%) და მშენებლობის (29%) სექტორებში მაჩვენებელი ახლოს არის საშუალო მაჩვენებელთან (იხილეთ გრაფიკი 10).


მოთხოვნის სიმცირის პრობლემა საწარმოთა ზომის მიხედვით თანაბარია. აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად დაასახელა მსხვილი ზომის საწარმოთა 22%-მა, საშუალო ზომის საწარმოთა 21%-მა და მცირე ზომის საწარმოთა - 20%-მა.

ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის, წინა კვარტალთან შედარებით, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერების პრობლემა შემსუბუქდა (8 პროცენტული პუნქტით) და ასევე, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა (3 პროცენტული პუნქტით). ხოლო ყველაზე მეტად მოთხოვნის სიმცირის (7 პროცენტული პუნქტით) პრობლემა გამძაფრდა.




გრაფიკი 9: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის 2022 წლის I კვარტალში

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები სექტორების მიხედვით 2022 წლის I კვარტალში



გრაფიკი 10: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის სექტორების მიხედვით 2022 წლის I კვარტალში

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები სანარმოს ზომის მიხედვით 2022 წლის I კვარტალში



გრაფიკი 11: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის სანარმოთა ზომის მიხედვით 2022 წლის I კვარტალში

სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები

2022 წლის I კვარტალში, გამოკითხულთა უმეტესობამ, წინა კვარტლის მსგავსად, მარეგულირებელი გარემო დაასახელეს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად, რის გამოც სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები ხელს უშლის მათ ბიზნესსაქმიანობას. სექტორებს შორის, მარეგულირებელი გარემო ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე მეტად მშენებლობისა (80%) და მომსახურების (86%) სექტორებში დაფიქსირდა. ვაჭრობის სექტორისთვის მარეგულირებელი გარემო ყველაზე ნაკლებად არის ხელის შემშლელი ფაქტორი, ხოლო მრეწველობის სექტორში გამოკითხული კომპანიები არ თვლიან აღნიშნულ ფაქტორს ხელის შემშლელად (ვაჭრობის სექტორში კომპანიათა 33%-მა დაასახელა ხელის შემშლელად, ხოლო მრეწველობის სექტორში არც ერთმა).







სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს შორის, მეორე ადგილს COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვები იკავებს. აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად ყველაზე მეტად ვაჭრობის სექტორში დაფიქსირდა (78%), ხოლო მრეწველობის სექტორისთვის არც COVID-19 წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს.

რაც შეეხება სასამართლო სისტემას, აღნიშნული ფაქტორი სექტორებს შორის, ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა (კომპანიათა 60%-მა დაასახელა ხელის შემშლელად). ხოლო ვაჭრობის სექტორისთვის სასამართლო სისტემა ყველაზე ნაკლებად წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს (11%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).

ადმინისტრაციული საკითხები ყველაზე მეტად ხელის შემშლელი მშენებლობის სექტორშია (კომპანიათა 80%-მა დაასახელა ხელის შემშლელად), ხოლო ყველაზე ნაკლებად ვაჭრობის სექტორში (22%).

მთლიანობაში, წინა კვარტალთან შედარებით, შემცირებულია იმ კომპანიათა წილი, რომელიც მარეგულირებელ გარემოს ასახელებდა ხელის შემშლელად (5 პროცენტული პუნქტით), ხოლო ყველაზე მეტად გაზრდილია იმ კომპანიათა წილი, რომლებიც ადმინისტრაციულ საკითხებს ასახელებდა ხელის შემშლელად (16 პროცენტული პუნქტით).

**ბიზნესაქტიურობისთვის ხელის შეშლელი ძირითადი ფაქტორები
IV კვ. 2019 - I კვ. 2022**



გრაფიკი 12: ძირითადი ხელის შეშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის


⁶ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთ-ერთი ხელის შეშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, არსებულ კითხვარს 2021 წლის II კვარტალში დაემატა.

დაფინანსება


2022 წლის I კვარტალში, დაფინანსების მოძიება სცადა გამოკითხულ კომპანიათა 50%-მა, რაც წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებელია (5 პროცენტული პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 13).

2022 წლის I კვარტალში, მათგან, ვინც ბოლო პერიოდში დაფინანსების მოძიება სცადა, მხოლოდ 15% აცხადებს, რომ ფინანსებზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით მცირედით არის შემცირებული (1 პროცენტული პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 14).

საწარმოთა ზომის მიხედვით, 2022 წლის I კვარტალში, ფინანსებზე წვდომა პრობლემას ყველაზე მეტად მცირე ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს (22%-მა იმ მცირე ზომის კომპანიებისა, რომლებმაც ბოლო პერიოდში სცადეს დაფინანსების მოძიება პრობლემად დაასახელა). ფინანსებზე წვდომა ყველაზე ნაკლებად წარმოადგენს პრობლემას მსხვილი ზომის საწარმოებისთვის (მხოლოდ 13%-მა დაასახელა პრობლემად). რაც შეეხება საშუალო ზომის კომპანიებს, მათმა 16%-მა განაცხადა, რომ ფინანსებზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს.




გრაფიკი 13: დაფინანსების მოძიება



გრაფიკი 14: ფინანსებზე წვდომა⁷

⁷ კითხვას პასუხი გასცა გამოკითხულთა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში სცადა ფინანსების მოძიება.


რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსების წყაროებს⁸, 2022 წლის I კვარტალში, წინა პერიოდების მსგავსად, კომპანიათა უმეტესობის განცხადებით, ისინი ფინანსდებიან ადგილობრივი წყაროებიდან. იმ კომპანიათა პროცენტული წილი, რომლებიც მხოლოდ უცხოური წყაროებიდან ფინანსდებიან, 2022 წლის I კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, 2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.



გრაფიკი 15: დაფინანსების წყაროები


მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ

2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, შემცირდა იმ კომპანიების წილი (5 პროცენტული პუნქტით), რომლებსაც მომდევნო 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინი აქვთ. ამასთან, წინა კვარტალთან შედარებით, 2022 წლის I კვარტალში, 4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ კომპანიების წილი, რომლებიც ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებას მომდევნო 6 თვეში არ ელიან.



გრაფიკი 16: ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილების მოლოდინი

⁸ 2021 წლის I კვარტალში ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელებულმა ცვლილებამ (გამოსაკითხი კომპანიების ბაზის გაზრდამ) გავლენა იქონია ბიზნესის დაფინანსების წყაროების სტრუქტურაზე. სხვა მაჩვენებლებზე მეთოდოლოგიურ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია.



კონტაქტი:

ლეონიძის ქ.2, თბილისი, საქართველო

☎ +995 32 2 202-215

✉ info@bag.ge

f Business Association of Georgia

www.bag.ge